პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წვლილწადი მესამე

კომუნისტი

№ 144 საბჭოთა 26 ივნისი, 1923 წ. 26 ივნ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 75,000 მან. № 144

ს. ს. ს.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
საკის ორგანო

რედაქცია:
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სარ. ოული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის ქუ. № 26
ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონეცებით ნონაპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონეცებით.

დღიური

— კომენტარანის აღმასკომის პლენუმის სხდომები დაიწყო.
— სირიაში მოხდა ადგილობრივ მცხოვრებთა [illegible] რანგეთის მთავრობის წინააღმდეგ. [illegible] რიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.
— სირიის აჯანყებულებმა დამარცხეს [illegible]
— რუსეთი იაპონიის კონფერენციას დაუწყებს ამ თვეს.
— ოსმალეთის დელეგაცია ბერლინს დატოვებს ლოზანის კონფერენცია, თუ ეს უკანასკნელი საჩქაროდ არ დაკმაყოფილებს ოსმალეთის მოთხოვნილებებს

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის
ცენტრალური კანტორისაგან

(ყოფ. გაზეთისტა), რუსთაველის პრ. № 26. ტელეფ. № 5—43, ივლისის თვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები წან მიტანით:

საერთო ხელის მოწერა	1.800.000
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მეშვიდისათვის	1.300.000
ერთი ეგზემპლიარი	75.000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 ივლისამდის შემოიტანონ ხვეული ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება. 6—1

28 ივნისს, დილის 10 საათზე, სასახლის წითელ დარბაზში გაიხსნება

მეოთხე სესია
ამიერ-კავკასიის საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა

დასწრება ყველა წევრებისა და კანდიდატებისა აუცილებელია.

დღის წესრიგი: 1. მოხსენება ამიერ კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოსი, 2. ფინანსიური მდგომარეობა ამიერ-კავკასიის ფედერაციისა, 3 კონსტიტუციები (ხელშეკრულებანი და დეკლარაციები) სოც. საბჭ. რესპუბლიკებისა, 4. მოხსენება ამიერ-კავკასიის სოც. საბ. ფედ. რესპუბლიკების სასურსათო სახალხო კომისარიატის, შრომის სახალხო კომისარიატის და მუშურ-გლეხურ ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, 5. საიერთაშორისო ბუმბენტი ამიერ-კავკასიის ფედერაციის სახელმწიფო აღმშენებლობაში. 6. მიმდინარე საქმეები.

ამიერ-კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი თალიბელი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ პარასკევს, 29 ივნისს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასმული იქნეს საკითხი **კომინტერნის აღმასკომის გადაწყვეტილებანი შესახებ.**

მასალებათ გამოყენებული იქნეს ამბ. ზინოვიევის სიტყვა, რომელიც დაბეჭდილი იყო „პრავდა“-ს 14 და 15 ივნისის ნომრებში.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: რუბენი.

ახალი ლოზუნგი

რუსეთის რევოლიუცია ორ მთავარ სოციალურ ძალას ემყარება: სამრეწველო პროლეტარიატს და ღარიბ გლეხობას. რევოლიუციის განვითარების პროცესში აშკარა გახდა, რომ მუშათა კლასი შეინარჩუნებს და განამტკიცებს თავის მონაპოვარ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გლეხობა ამოუდგება მას გვერდში და სასიცოცხლოდ იქნება დაინტერესებული რევოლიუციის გამარჯვებით.

ამიტომ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ცდა იქითკენაა მიმართული, რომ განამტკიცოს კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის. ეს ლოზუნგი განსაზღვრავს მისი პოლიტიკის მთავარ მომენტებს.

ამ კავშირის განმტკიცებამ, გლეხობის უშუალო დაინტერესება რევოლიუციის ბედით, მისი აქტიური მიმხრობა შესაძლებელი იყო არა მარტო იმით, რომ მას დაურიგდა მიწისმუშაკების მიწები, არამედ იმითაც, რომ ერთგვარი გასაქანი მიეცა გლეხობის წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიას, მას მიეცა საშუალება განსაზღვრულ ფარგლებში კაპიტალისტურ მეურნეობის წარმოების.

ეს გამოიხატა უმთავრესად ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში, რომელიც არის პროლეტარიატის მხრით დათმობა გლეხობისადმი ეკონომიურ დარგში. შედეგი ამ „დათმობის“ ყველას თვალწინ უდგას. გლეხობა ზურგს უმაგრებს მუშათა კლასს, ის პოლიტიკურად და სამეურნეო შემოქმედებით ამაგრებს საბჭოთა წყობილებას. რევოლიუციისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საბჭოთა ფედერაციაში პირველ ყოვლისა სწორედ პროლეტარიატს და გლეხობას ამ მჭიდრო კავშირით ახსნება.

ოქტომბრის რევოლიუციის ამ გაკვეთილს არა აქვს მარტო ადგილობრივი მნიშვნელობა, არამედ საერთაშორისოც.

იმ თავითვე ბევრი იმ აზრისა იყო, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, თუ იგი საერთოდ შეიძლება გამართლებულ იქნას, ეს გამართლება უნდა ვეპოვოთ მხოლოდ რუსეთის სინამდვილის განსაკუთრებულ პირობებში. რუსეთი სამრეწველო მხრივ მეტად ჩამორჩენილი ქვეყანაა, ამასთან გლეხური მოსახლეობის დიდი უმრავლესობით. ასეთ მდგომარეობამ დაბადა ახალი ეკონომიურ პოლიტიკის აუცილებლობა. რაც შეეხება ეკონომიურად დაწინაურებულ ქვეყნებს, ამბობდნენ ზოგიერთები, აქ საპირო არ იქნება ასეთი გარდამავალი სამეურნეო საფეხურის გავლა.

მაგრამ მსოფლიო რევოლიუციის ნელი ტემპით განვითარებამ, რომლის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში გლეხობა აქტიურად არ ჩაება რევოლიუციონურ მოძრაობაში, კორექტივები შეიტანა ასეთ შეხედულებაში. გლეხობის მოთხოვნილებათვის მეტი ანგარიშის გაწევა, ვინმ ეს დლმდე იყო, და ამით მისი მიმხრობა მებრძოლ პროლეტარიატისადმი ეკონომიურად წინ წაწეულ ქვეყნებში, მიჩნეულ იქნა ერთ-ერთ მთავარ პირობად რევოლიუციის გამარჯვების.

უკვე კომინტერნის მეოთხე კონგრესზე აღიარებული იყო, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარება მოუხდება დასავლეთის პროლეტარიატსაც, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ ქვეყნის განსაკუთრებულ პირობებთან შეფარდებით, მეტი თუ ნაკლები მასშტაბით და ამა თუ იმ ფორმით.

უკვე ამ აღიარებაში იყო ჩაქსოვილი ლოზუნგი მუშათა და გლეხთა მთავრობის, რომელიც მიიღო კომინტერნის ეხლა დასრულებულმა პლენუმმა. ფაქტია, რომ გლეხობა დიდ ძალას წარმოადგენს არა მარტო მეტ წილად აგრარულ ქვეყნებში, არამედ ამავე დროს სამრეწველო ქვეყნებშიც, როგორიცაა, მაგალითად, სხვ. უფრო წვრილ საბელმწიფოებზე არ ვილაპარაკოთ, გერმანია, შემდეგ საფრანგეთი და იტალიაც.

მუშათა კლასის გამარჯვება ასეთ ქვეყნებში შეუძლებელია, თუ მას არ მიემხრო მოსახლეობის ისეთი დიდი ნაწილი, როგორიცაა გლეხობა.

დღემდე ჩვენი პარტიები დასავლეთში ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ გლეხთა საკითხს, გლეხურ მასსაში არ აწარმოებდნენ სათანადო მუშაობას. ამით გლეხობა კომუნისტური მოძრაობის გარეშე დარჩა და მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა შეფერხდა.

ამიერიდან ბოლო უნდა მოეღოს ასეთ მდგომარეობას.

ჩვენმა პარტიებმა უნდა გააჩაღონ ფართე მუშაობა მშრომელ გლეხობაში და დაარწმუნონ ის, რომ კომუნისტები იცავენ არა მარტო მუშების, არამედ გლეხების ინტერესებსაც და ჩაებმნ ისინი რევოლიუციონურ ბრძოლაში, მუშებთან ერთად.

ამ მიზნითაა კომინტერნის მიერ ბოლოსროლილი ახალი ლოზუნგი—მუშების და გლეხების მთავრობა.

ის ფაქტი, რომ ეს ლოზუნგი ერთხმად გაიზიარეს კომინტერნის სექციებმა, მოწმობს მის დროულობას და სამწყოფეს. და ეკვი არ არის, რომ ის იპოვის ცხოველ გამოხმაურებას პარტიულ მასსებში და გლეხობაში.

მხოლოდ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მიუთითოთ იმ საფრთხეზე, რომელიც ამ ახალ იდეას თან სდევს, თუ ის იქნება დამახინჯებული.

კომინტერნის პლენუმზე იყო აღნიშნული ორი საფრთხე ამ ლოზუნგთან დაკავშირებით. პირველი: შეიძლებ.ის გაგებულ იქნას ესეტული, წვრილ ბურჟუაზიული სოციალიზმის აზრით. მაგრამ საბჭოთა რუსეთის მაგალითი საგულისხმოა ამ ნიხრივ. მუშების და გლეხების კავშირმა აქ ოდნავადაც ვერ შეასუსტა პროლეტარიატის ჰეგემონია. და ხელმძღვანელი როლი, პირიქით, უფრო განამტკიცა მისი გავლენა გლეხობაზე. მით უმეტეს ეს შესაძლებელია დასავლეთში, სადაც პროლეტარიატს მეტი მატერიალური, ტეხნიკური და იდეური საშუალებები ექნება თავისი მატონობის განსამტკიცებლად. ოღონდ საჭიროა მუშათა და გლეხთა მთავრობის ლოზუნგის სწორად გაგება და გატარება.

მეორე საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ ამ ლოზუნგმა არ მიიღოს ფორმა წვრილ—პარლამენტარულ კომბინაციებისა ე. წ. გლეხთა დეპუტატებთან. ამ ლოზუნგის მიზანია არა ასეთი კომბინაციები, არამედ დაახლოვება გლეხობის მასსასთან, მუშაობის გაჩაღება გლეხობის ფართე წრეებში.

კომინტერნის პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში საკითხის ეს მომენტები ხაზგასმითაა აღნიშნული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კომინტერნის სექციები სასწაროთ შეიგნებენ ახალი ლოზუნგის შინაარსს, ამასთან გაითვალისწინებენ რუსეთის გამოცდილებას და გაიჩაღებენ კამპანიას გლეხური მასსების დასაპყრობად. ენერგიული მუშაობა ამ მიმართულებით დიდ ძალას შემატებს კომინტერნს.

ბრძოლა

ლლოიდ ჯორჯი და საბჭოთა მთავრობა.

როგორც ცნობილია, ლლოიდ-ჯორჯი გამომხატველია და მეთაური იმ მომდინარეობის ინგლისის ბურჟუაზიაში, რომელიც სდგას საბჭოთა რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარების თვალსაზრისზე. ეს აზრი არა ერთხელ გამოუთქვამს და დაუსაბუთებია მას ინგლისის შინაური მდგომარეობისა და მისი გაბატონებული კლასების ინტერესების მიხედვით.

იმავე აზრის დადასტურება ერთნაირ ინტერესს წარმოადგენს დღეს ინგლის-რუსეთის კონფლიქტის გათავების შემდეგ და იმ ნერვიულობის ატმოსფერაში, რომელიც ნელნელა სცხრება ინგლისში.

როგორც ცნობილია, ევროპის გაზეთებში ებეჭდება მისი წერილების სერია. მორიგ წერილში ავტორი ესეა რუსეთს, გაზეთ „ნაკანუნე“-ში მოყვანილია რამოდენიმე საინტერესო ადგილი ამ წერილისა, რომელიც დაბეჭდილი „ცეიტუნის ახალგაზეთში“.

ლლოიდ-ჯორჯი სწერს:

„როგორც 1919 წლის გამოცდილებიდან ვიცით—არ ეჭიდება აწარმოო ომი ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობის წინააღმდეგ ისე, რომ არ დაანგრიო ეს ქვეყანა და არ გადაიტეხო ხალხი. არ შეიძლება უარი სთქვა მართალ ვაჭრობაზე და იმავე დროს არ მოფსპო მის მოსახლეობას უსაჭიროესი საგნები. ამით შეეუბდებოდა სწორეთ ეს მოსახლეობა და შემდეგ მწარე გაბრაზებით მოგვიგონებდა ის ამ გამირეგებას. მანამდის, სანამ ერთათ ერთ განმტკიცებულ ავტორიტეტათ ითვლება რუსეთში საბჭოთა მთავრობა—ყოველი მტრული აქტი მის წინააღმდეგ სახარაელია რუსეთისათვის“.

მკითხველს გაუკვირდება, რომ ავტორი ასე „შეუუბეულა“ რუსეთის ხალხის ინტერესებისათვის. მაგრამ მისი შემდეგი სიტყვებიდან გავიგებთ თუ მართალია ვისი ინტერესები ალაპარაკებს მას:

„...ჩვენ უალრესათ გვესაჭიროება რუსეთის ნორბალი და ტყვ. ჩვენ ვერ გავძლებთ უსდათთ, რომელიც მოგვიყვა მას. უკანასკნელ წლებში ინგლისში შემოტანილ იქნა ბნიშვნელოვანი რაოდენობა რუსეთის საკონლის“.

აქედან ცხადია, რაშია საქმე, რა აწუხებს ინგლისის ბურჟუაზიის მეთაურს. ამიტომ—ათავებს ლლოიდ-ჯორჯი თავის წერილს—

„ჩვენ უნდა შევეწიოდეთ და ბოლოს ის აზრს, რომ მოგვერნს ეს ჩვენ თუ არა, მაგრამ საბჭოები არსებობენ. რამდენადაც მალე შევიგებთ ჩვენ ამ ფაქტს, მით უფრო მალე დამყარდება ნამდვილი მშვიდობიანობა ევროპაში“.

ჩვენ „ცოტა არ იყოს“ სხვა აზრის ვართ იმის შესახებ თუ რიდან და რა პირობებში დამყარდება „ნამდვილი მშვიდობიანობა ევროპაში“ და მთელ მსოფლიოში. მაგრამ თუ ინგლისის ბურჟუაზიაში გამამაჯანებს ლლოიდ-ჯორჯის „საშვიდობო“ პოლიტიკა—ეს იქნება უეჭველთ დიდი მიღწევა და საბჭოთა კავშირი ისარგებლებს ამ „შესვენებით“ ისე, როგორც ეს ესმის მას, როგორც ამას მოითხოვს მისი მეურნეობისა და განმტკიცების ინტერესები.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი
რეზოლიუციების მიმღებ კომისიების მოხსენებები.

მოსკოვი. 22 ივნისი. 22 ივნისის დღის სხდომა აღმასკომის პლენუმმა მოანდომა რეზოლიუციების მიმღებ კომისიების მოხსენებას

დანიის კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს **შტაინი** (შვეიცია). დანიის კომისია, ამბობს მომხსენებელი, აღნიშნავდა, რომ დანიაში არსებულ ორ კომპარტიათა შორის პრინციპიალური უთანხმოება არ არსებობს. ვფიქრობთ, რომ გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ ორივე პარტიები შეთანხმდებიან და დანიის ამხანაგები გაერთიანებული ძალლონით თვალსაჩინო შედეგებს მიაღწევენ.

ნორვეგიის კომისიის შესახებ მოხსენება გააკეთა **ეიერტმა** (გერმანია). სკანდინავიელ ამხანაგებს ბეჭრი რამ დაეთმოთ საორგანიზაციო საკითხში, მაგრამ ამასთანავე, დაცულია კომინტერნის მთავარი შეხედულება ცენტრალიზმის საკითხში. რეზოლიუციაში მოხსენიებულია აგრეთვე მთელი რიგი პოლიტიკურ ხასიათის დათმობათა, რომელიც საშუალებას აძლევს ნორვეგიის პარტიას შეუფარდოს კომინტერნის ლოზუნგები ნორვეგიის კონკრეტულ პირობებს.

რეზოლიუციის გამო ქვეყნდება სხვა და სხვა დელეგაციების წარმომადგენელთა განცხადებანი.

ფალკი (ნორვეგია) ტრამვლის ხოფლის და თავის სახელით აცხადებს, რომ ნორვეგიის პარტია იტოვებს უფლებას მეხუთე კონგრესზე შეიტანოს წინადადება კომინტერნის წესდების შეცვლის შესახებ იმ დათმობებთან შეფარდებით, რომელიც მიღებულ იქნა ნორვეგიის პარტიის მიმართ. დელეგაცია ფიქრობს, რომ მუშათა და გლეხთა მთავრობის ლოზუნგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა ქვეყნებში ეს საკითხები ხელახლა უნდა იქნას განხილული.

ინკპინი ინგლისის დელეგაციის სახელით აცხადებს, რომ ფალკი არ არის მართალი, თუ ფიქრობს, რომ მას მხარს დაუჭერენ კომინტერნის სექციები. ინგლისის დელეგაცია სავსებით იწონებს აღმასკომის გადაწყვეტილებებს სკანდინავიის პარტიების საკითხში. დელეგაცია იმედოვნებს, რომ სკანდინავიის ამხანაგები ყოველ ღონეს იხმარებენ, რათა ცხოვრებაში გაატარონ ეს გადაწყვეტილებანი.

ამბერი (შეერთებული შტატები) ჰკითხულობს კანადის დელეგაციის დეკლარაციას, რომელიც იწონიხს ნორვეგიის საკითხში მიღებულ გადაწყვეტილებას და სოლიდარობას გამოსთქვამს დემოკრატიულ ცენტრალიზმის პრინციპებისადმი.

შტირნერი სამხრეთ-ამერიკის დელეგაციის სახელით აცხადებს, რომ ის ხმას მისცემს აღმასკომის რეზოლიუციას.

ეიერტი, გერმანიის, ჩეხო-სლოვაკეთის, ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიის, ჰოლანდიის, შვეიცარიის, ფინეთის, სამხრეთ-სლავიის, ესტონეთის, ლიტვის, ლატვიის, პოლონეთის და ახალგაზრდათა კომინტერნის დელეგაციების სახელით აცხადებს, რომ ფალკის პოზიციამ შესაძლოა გამოიწვიოს განხეთქილება და ამიტომ იგი არის პროვოკაცია, რომელსაც ნორვეგიის კომუნისტები უარყოფენო.

თავმჯდომარე **ბეტხერი** აღნიშნავს, რომ ფალკი თავის შეხედულებათა გამოთქმის დროს არ ეყრდნობა კომინტერნის არც ერთ სექციას.

ზინოვიევი წინადადებას იძლევა შეესებულ იქნას კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი კიდევ ერთი სკანდინავიელი ამხანაგის, რომელსაც აირჩევს აღმასკომის პლენუმი სკანდინავიის პარტიებთან უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლად. თუ ფალკმა მიზნათ დაისახა თავისი იზოლაცია, რაც მან წარჩინებულად მოახერხა, „მე არ ვიცი, ამბობს ამბ. ზინოვიევი, აქვს თუ არა ფალკს უფლება დაგვემუქროს გათიშვით ნორვეგიის პარტიის სახელით, მაგრამ ჩვენი შეშინება ადვილი საქმე არ არის. მრავალი მოღვაწეები, რომელნიც აწყობდენ ასეთ გათიშვას, დღეს პოლიტიკურ ლეშებათ გადაიქცენ. ნორვეგიის მუშები ნებას არ მისცემენ მას სათამაშო საგნათ გახადოს პარტიის ბედი“.

ამბ. ზინოვიევი ათავებს სიტყვას: „გაუმარჯოს ნორვეგიის პარტიის მთლიანობას!“ ამბ. ზინოვიევის სიტყვას ფარავს მქუხარე ტაში და „ინტერნაციონალის“ სიმღერა.

ფალკი გაუგებრობის ნაყოფად სთვლის ამბ. ზინოვიევის განცხადებას და ამტკიცებს, რომ მისი ფრაქცია არ ილტვის გათიშვისაკენ.

ფურუბერგონი (ნორვეგია) ამბობს, რომ ნორვეგიის მუშათა კლასი აწარმოებს ამ ომსმდე გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას. ასეთ პირობებში ყველა სანდისიერი რევოლიუციონერი მუშები მიზნათ დაისახავენ მონაწილეობა მიიღონ ამ ბრძოლაში კომინტერნთან მჭიდრო კავშირის დაჭერით.

ბეტხერი აქვეყნებს რეზოლიუციას ნორვეგიის საკითხის გამო, რომელიც მქუხარე ტაშით იქნა მიღებული ყველა ხმების, სკანდინავიელ ამხანაგების ხმების წინააღმდეგ.

ამბ. ზინოვიევის წინადადება, აღმასკომის პრეზიდიუმში კიდევ ერთი ამხანაგის არჩევის შესახებ, ერთხმად იქნა მიღებული.

რეზოლიუციების მიღება.

„რეზოლიუცია დანიის საკითხში მოითხოვს დანაში არსებულ ორ პარტიის სამოლოგოთ გაერთიანებას 1 სექტემბრისათვის. საორგანიზაციო საკითხებს გადაწყვეტენ ორივე პარტიები კომინტერნის პრეზიდიუმის სანქციით.

რეზოლიუცია ნორვეგიის საკითხში აღიარებს რა დამაკმაყოფილებლად აღმასკომის პოლიტიკას ნორვეგიის პარტიის მიმართ, „წინადადებას აძლევს ნორვეგიის პარტიას 1) იბრძოლოს პარტიის შიგნით ისეთ ფრაქციების დაარსების წინააღმდეგ, რომელიც გამოიწვევს პარტიის დაშლას, 2) გაატაროს პირველადი იანჩიკების გაერთიანება ტერიტორიალურ და არა წარმოებითი საფუძვლების მიხედვით, 3) დაეკალოს პროფკავშირებში მომუშავე ამხანაგებს, იხელმძღვანელონ ცეკას დირექტივებით; ცეკა კი თავის მხრივ ვალდებულია ანგარიში გაუწიოს პროფმუშაობა აზრებს, 4) აღიარონს ახალგაზრდობის ორგანიზაციის უფლებათ და მოვალეობათ რათა მან აღძრას და საკამათო საგნად გახადოს პარტიის და კომინტერნის ყველა არსებითი საკითხები და მათი შეფასების დაგვარად გამოსთქვას თავისი თვალსაზრისი, დარჩება რა იგი ამავე დროს ორგანიზაციულად დამოუკიდებელი. ახალგაზრდობის ორგანიზაციამ ემარჩიოს ტფილისის პარტიის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. რაც შეეხება ბრძოლას მუშათა და გლეხთა მთავრობის სასარგებლოთ რეაქციონურ გლეხობასთან საპარლამენტო კომბინაციაში, ამის თავიდან აშორება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ რომ ეს ბრძოლა მისაწვდომი გახდება ფართო მასებისათვის და თუ ხაზგასმით იქნება აღიარებული გლეხების მიერ ბურჟუაზიასთან კავშირის გაწყვეტის აუცილებლობა.

ეთანხმება რა სტორტინგის ფრაქციიდან ოპორტიუნისტების გამოწვევას, კომინტერნი იმედოვნებს, რომ ცეკა მისცემს კომუნისტურ ფრაქციის ნათელ რევოლიუციონურ დირექტივებს, რომელიც თავიდან აშორებს კონფლიქტებს და ფრაქციის მოქმედებას დაუკავშირებს პროლეტარულ მასების ბრძოლას.

უკანასკნელი სხდომა

რეზოლიუციები

აღმასკომის ანგარიშის შესახებ.

პლენუმი აწონიბს კომინტერნის აღმასკომის მოქმედებას და სავსებით მიზანშეწონილათ თვლის აღმასკომის ხაზს და ზომებს ცალკე სექციებში წარმოშობილ კონფლიქტების მოსაგვარებლად.

საარბუნოსასთან დამოკიდებულების შესახებ.

შვეიცის კომუნისტურ პრესაში სარწმუნოების შესახებ მოთავსებული წერილების გამო პლენუმი კატეგორიულად აცხადებს, რომ საარწმუნოების დაფასება, როგორც კერძო საქმის, შეუძლია ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, მაგრამ არა კომუნისტურ პარტიას. პლენუმს დაუშვებლად მიაჩნია რელიგიურ ცრურმორწმუნეობის ნაშთების დარჩენა ხელმძღვანელ კომუნისტების აზროვნებაში და საერთო თვლის ანტი-სარწმუნოებრივი პროპაგანდის წარმოებას—სათანადო პროგრამის მიხედვით.

ბუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგის შესახებ.

კომუნისტურმა პარტიებმა უნდა სძღვეონ ცეხურ კარჩაკეტილობას. მათ უნდა წარმოიჩინონ თავისი თავი ხალხის უმრავლესობის ხელმძღვანელათ. ამ ხალხის უმრავლესობის დახმარება დასჭირდება პროლეტარიატს ბურჟუაზიის ბატონობის დამხობის დროს. მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი, რომელიც საშვალებას წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად, ცხოვრებაში გატარებული უნდა იქნას ამა თუ იმ ქვეყნის პირობების მიხედვით. პროლეტარიატის გამარჯვება წარმოუდგენელია გლეხობასთან თანამშრომლობის გარეშე, ამიტომ მუშურ გლეხური მთავრობის ლოზუნგი უნდა შეიქნეს კომინტერნის ყველა სექციების მოთხოვნილება. ამ ლოზუნგის წვრილ-ბურჟუაზიულათ გაგებას, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევს გლეხური მასის დიფერენციაციას და ზოგიერთი პარტიების ცალკ სოფლის მშრომელ მასებში რევოლიუციონური მუშაობის პარლამენტარული კომბინაციებით შესაცვლელათ, კომუნისტურნი დასძლევს. დასასრულ რეზოლიუცია საჭიროთ თვლის რევოლიუციონური მუშაობის გაძლიერებას სოფლის მეურნეობის მუშებში.

ფაშიზმის შესახებ.

აღიარებს რა, რომ ფაშიზმი არის კაპიტალისტური წყობილების და ბურჟუაზიული სახელმწიფოს გახარნწის დამახასიათებელი ნიშანი და ეხება რა მისი წარმოშობის მიზეზებს ტიები კომინტერნის პრეზიდიუმს სანქციით.

რეზოლიუციათ ნორვეგიის საკითხში აღიარებს რა დამაკმაყოფილებლად აღმასკომის პოლიტიკას ნორვეგიის პარტიის მიმართ, „წინადადებას აძლევს ნორვეგიის პარტიას 1) იბრძოლოს პარტიის შიგნით ისეთ ფრაქციების დაარსების წინააღმდეგ, რომელიც გამოიწვევს პარტიის დაშლას, 2) გაატაროს პირველადი იანჩიკების გაერთიანება ტერიტორიალურ და არა წარმოებითი საფუძვლების მიხედვით, 3) დაეკალოს პროფკავშირებში მომუშავე ამხანაგებს, იხელმძღვანელონ ცეკას დირექტივებით; ცეკა კი თავის მხრივ ვალდებულია ანგარიში გაუწიოს პროფმუშაობა აზრებს, 4) აღიარონს ახალგაზრდობის ორგანიზაციის უფლებათ და მოვალეობათ რათა მან აღძრას და საკამათო საგნად გახადოს პარტიის და კომინტერნის ყველა არსებითი საკითხები და მათი შეფასების დაგვარად გამოსთქვას თავისი თვალსაზრისი, დარჩება რა იგი ამავე დროს ორგანიზაციულად დამოუკიდებელი. ახალგაზრდობის ორგანიზაცია ემარჩიოს ტფილისის პარტიის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. რაც შეეხება ბრძოლას მუშათა და გლეხთა მთავრობის სასარგებლოთ რეაქციონურ გლეხობასთან საპარლამენტო კომბინაციაში, ამის თავიდან აშორება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ რომ ეს ბრძოლა მისაწვდომი გახდება ფართო მასებისათვის და თუ ხაზგასმით იქნება აღიარებული გლეხების მიერ ბურჟუაზიასთან კავშირის გაწყვეტის აუცილებლობა.

ეთანხმება რა სტორტინგის ფრაქციიდან ოპორტიუნისტების გამოწვევას, კომინტერნი იმედოვნებს, რომ ცეკა მისცემს კომუნისტურ ფრაქციის ნათელ რევოლიუციონურ დირექტივებს, რომელიც თავიდან აშორებს კონფლიქტებს და ფრაქციის მოქმედებას დაუკავშირებს პროლეტარულ მასების ბრძოლას.

ამბ. ზინოვიევის საგულოო სიტყვა

23 ივნისის დღის სხდომაზე რეზოლიუციების მიღების შემდეგ ტრიბუნაზე გამოდის ამხანაგი ზინოვიევი, რომელსაც მთელი დარბაზი მხურვალე, ხანგრძლივი ოვაციებით ხვდება.

თავის საბოლოო სიტყვაში ამბ. ზინოვიევი ამბობს:

„ჩვენი გაფართოებული პლენუმი კომინტერნის ერთ-ერთი უნაყოფიერესი მუშაობა იყო. ჩვენ ერთის მხრით განვიხილეთ მდგომარეობა ცალკე სექციებში, მეორე მხრით ისეთი საკითხები, რომლებსაც პრინციპიალური ნიშვნელობა აქვთ მთელი ინტერნაციონალისათვის. პირველი რიგის კითხვებიდან ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვთ იტალიის, ნორვეგიის და ბულგარეთის სექციების საკითხებს. რაც შეეხება იტალიის საკითხს, ჩვენ, რომლებიც ასე მკაცრად ვაკრიტიკებდით მას, უნდა ვიღიაროთ, რომ ის ერთად ერთი იმედი და დამცველი იტალიის პროლეტარიატის. ჩვენ მუხლს ვიდრეკთ იმ ათეულ იტალიელ ამხანაგების წინაშე, რომლებმაც ოლსელათ დაიცვეს იტალიის რევოლიუციის დროში და ახლა იტალიელ ფაშისტების ციხეებში. ჩვენ ჯერ არ ვიცით თუ როგორი დამოკიდებულება გვექნება იტალიის სოციალისტურ პარტიასთან, მაგრამ ჩვენ მზად ვართ მივიღოთ ყველა ზომები იტალიის მუშათა კლასის მთლიანობის აღსადგენათ. ნორვეგიაში ჩვენ გვაქვს ერთგვარი ორგანიზაცია, რომელიც წაგვიყვანს ინგლისის მუშათა პარტიის. ეს ორგანიზაცია თუმცა თავისუფალია რეფორმისტული იდეოლოგიისგან, მაგრამ ორგანიზაციულად რეფორმისტულ პრინციპებზეა აგებული. კომინტერნის ამოცანას შეადგენს პარტიისათვის ფართე ბაზისის შექმნა და ამავე დროს ინტერნაციონალში ფედერალიზმის ყოველგვარი ნაშთების აღმოფხვრა.

ჩვენ მივიღეთ ამ პლენუმში რეზოლიუციანი, რომელიც ახასიათებს ჩვენს დამოკიდებულებას რელიგიისადმი. თუ ჩვენ არა ერთხელ ვიხილავდით ასეთს საკითხებს ამის მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ ჯერ კიდევ არ არის მივიწყებული ორ-ეროვნული ინტერნაციონალის ნაშთები და ჩვენ სრულიადაც არ უნდა გვრცხვენოდეს ამის აღიარების, რადგან საბჭოთა რუსეთის დროშის ვარშემო, ვინაიდან საბჭოთა რუსეთი მტკიცედ იცავს აღმოსავლეთის დაჩაგრული ერების ინტერესებს.

ამბ. ზინოვიევის შესახებ.

აღმასკომი ღრმა მწუხარებით იგონებს ამბ. ვორროვსკის, რომელიც დაეცა ფაშისტ ბანდიტის ტყვეთ განგმირული და მოწყდებს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს მიეღონ ზომები თავისი ბელადების დასაცავად. აღმასკომი მოთავონებს მიძინებულ კლასებს, რომ ის დაიხსომებს ბურჟუაზიის ძალადობის ყოველ აქტს და მას თავს დაატყდება წითელი ტერორის რისხვა.

კომინტერნის მეხუთე კონგრესი.

პლენუმი ადგენს: კომინტერნის მეხუთე კონგრესი მოწვეული იქნას 1924 წლის მარტში, როცა კომინტერნი იდღესასწაულებს არსებობის 5 წლის თავს. დღესასწაული უნდა გადაიქცეს საერთაშორისო დემონსტრაციად კომინიზმისათვის.

კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი.

ბეტხერის წინადადებით არჩეულ იქმნა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდენ ამხანაგები: ზინოვიევი, ცეტკინ, ტერანი, ბუხარინი, რადეკი, კოლაროვი, კატაიამა, კულინენი, ნიერატი, სუვარინი, მაკ მანუს და მაკკინი, ერთი ადგილი დაეთმო სკანდინავიის პარტიებს.

ამბ. ზინოვიევის საგულოო სიტყვა

23 ივნისის დღეს სხდომაზე რეზოლიუციების მიღების შემდეგ ტრიბუნაზე გამოდის ამხანაგი ზინოვიევი, რომელსაც მთელი დარბაზი მხურვალე, ხანგრძლივი ოვაციებით ხვდება.

თავის საბოლოო სიტყვაში ამბ. ზინოვიევი ამბობს:

„ჩვენი გაფართოებული პლენუმი კომინტერნის ერთ-ერთი უნაყოფიერესი მუშაობა იყო. ჩვენ ერთის მხრით განვიხილეთ მდგომარეობა ცალკე სექციებში, მეორე მხრით ისეთი საკითხები, რომლებსაც კაპიტალური ნიშვნელობა აქვთ მთელი ინტერნაციონალისათვის. პირველი რიგის კითხვებიდან ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვთ იტალიის, ნორვეგიის და ბულგარეთის სექციების საკითხებს. რაც შეეხება იტალიის საკითხს, ჩვენ, რომლებიც ასე მკაცრად ვაკრიტიკებდით მას, უნდა ვიღიაროთ, რომ ის ერთად ერთი იმედი და დამცველი იტალიის პროლეტარიატის. ჩვენ მუხლს ვიდრეკთ იმ ათეულ იტალიელ ამხანაგების წინაშე, რომლებმაც ოლსელათ დაიცვეს იტალიის რევოლიუციის დროში და ახლა იტალიელ ფაშისტების ციხეებში. ჩვენ ჯერ არ ვიცით თუ როგორი დამოკიდებულება გვექნება იტალიის სოციალისტურ პარტიასთან, მაგრამ ჩვენ მზად ვართ მივიღოთ ყველა ზომები იტალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირეების მიერ სტამბოლისა და ხარუტეების შესაძლებელ ევაკუაციის საკითხის შესახებ.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ინგლისის პასუხი პუანკარეს მიერ წარმოდგენილ კონცესიებისა და ვილიუტის საკითხების გადაწყვეტილების პროექტზე; ინგლისის მთავრობის აზრით, არ შეიძლება ლაპარაკი საზავო ხელშეკრულებაზე და სტამბოლის ევაკუაციაზე მანამდის, სანამ ეს საკითხები დადებითად არ იქნება გადაწყვეტილი.

ახლო აღმოსავლეთში

საფრანგეთის არმია ახლო—აღმოსავლეთში.

პარიზი. 23 ივნისი. საფრანგეთის ხენაცმა დაამტკიცა კრედიტი 220 მილიონი ფრანკის რაოდენობით საფრანგეთის არმიის შესანახად ახლო აღმოსავლეთში.

სირიის საზღვარზე.

რომი. 22 ივნისი საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა სტამბოლში პროტესტი განუცხადა ადანა-ბეის სირიის საზღვარზე ოსმალეთის ჯარების დაგროვების გამო და მოითხოვა მათი გაყვანა.

რურის საკითხი

„მომხდარ ფაქტების“ პოლიტიკა ბერლინი. 23 ივნისი. ინგლისის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ პუანკარე ყოველ მხრივ ცდილობს გაჯიანურის მოლაპარაკება, რათა ამ ხნის განმავლობაში შექმნას მთელი რიგი ე.წ. „მომხდარ ფაქტებისა“.

„ტაიმს“-ს ეშინია სოციალური რევოლიუციის გერმანიაში.

ბერლინი. 23 ივნისი. „ტაიმს“-ი სცნობს გერმანიის გადახდის უნარიანობის საგრძნობლად შემცირებას უკანასკნელი მემორანდუმის შემდეგ. გაზეთი აღნიშნავს, რომ **მარკის კატასტროფიულმა დაცემამ შეიძლება გამოიწვიოს სოციალური რევოლიუცია გერმანიაში, რაც გაზეთის სიტყვით** [illegible]

ინგლისში

შრომის ხელფასის საკითხი.

ლონდონი. 23 ივნისი. ინგლისის პრემიერ მინისტრმა მიიღო ინგლისის მუშათა პარტიის დელეგაცია მაკდონალდის მეთაურობით. **დელეგაციამ** სთხოვა პრემიერს შეუწყოს ხელი მაღაროს მუშებისათვის შრომის ხელფასის შესახებ კანონ-პროექტის მიღებას. პრემიერმა უარი განაცხადა.

ამის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა იძენდა მუშათა პარტიის კანდიდატის რობერტ სმაილის გამოსვლა დამატებით არჩევნებზე მაღაროს მუშების მხრივ. მისი კონკურენტი არის ლიბერალი ტაბორნელ, რომელსაც ოფიციალურად მხარს უჭერენ ლიბერალები.

„დელი მეილ“-ი პროტესტს აცხადებს სმაილის კანდიდატურის წინააღმდეგ და ამტკიცებს, რომ მუშათა პარტიის ბელადები იძულებულს ხდიან „მისი უდიდესი ულესობის“ მთელ ოპოზიციას—მუშათა პარტიას და ტორიდ-უნიონებს დაემორჩილონ „ფერმანოფილური“ ორგანიზაციის—მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის—აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ჰამბურგში იმყოფება. ეს აღმასრულებელი კომიტეტი ავალებს მუშათა პარტიას აწარმოოს კლასობრივი ბრძოლის პოლიტიკა, რომელიც „სანამდეილეში იგივეა რაც ბოლშევიზმი“, მიუხედავად იმისა, რომ ჰამბურგის ინტერნაციონალი ვითომდა ებრძვის ბოლშევიზმს.

სმაილი აირჩიეს.

ლონდონი. 23 ივნისი. დამატებითი არჩევნების დროს პორტმანბერლენდში გავიდა მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის კანდიდატი რობერტ სმაილი. გაზეთები ამას თვლიან მუშათა პარტიის დიდ გამარჯვებად. იმ დროს როცა კონსერვატორებს და ლიბერალებს სელდებიან მომხრეები, მუშათა პარტია ადიდებს თავის ხმებს.

სმაილმ შემდეგის დეკლარაციით მიმართა ამრჩეველებს: „ამ ეტაპად კაპიტალიზმის პოლიტიკამ გამოიწვია კონფლიქტი რუსეთთან.

თუ მე დავბრუნდი პარლამენტში, მე მთელის ჩემი ძალლონით წინააღმდეგობას გაუწევ კერზონის პოლიტიკას და მხარს დაუჭერ მუშების მოთხოვნილებებს, რომლებიც გამოიხატება საბჭოთა მთავრობის ცნობაში“.

ემზადებიან ბრძოლისათვის.

ლონდონი. 23 ივნისი. ლიბერალური პარტიის ყოფილმა მდივანმა კაპიტანმა დესტმა განკუეტა განაცხადა, რომ ლიბერალური პარტია უნდა გადაიქცეს დიდი ნაციონალური პარტიის მემარცხენე ფრთათ, რომლის დანაშულება იქნება ბრძოლა სოციალიზმთან. დესტი მუშუოდებს ლიბერალებს შეამტკიცონ თავისი რიგები სოციალისტებთან საბრძოლოთ.

ინგლისის მაღაროს მუშები უერთდებიან პროფინტერნს.

ლონდონი. 23 ივნისი სამხრეთ-უელსის მაღაროს მუშების კონფერენციამ დადგინა კენჭი უყაროს პროფინტერნთან შეერთების საკითხს.

უმუშევრების რიცხვი.

ლონდონი. 23 ივნისი. უმუშევრების რიცხვი ინგლისში 11 ივნისისათვის უდრის 1.200.000.

მდგომარეობა პოლონეთში

პოლონეთის საგარეო პოლიტიკა.

ვარშავა. 22 ივნისი. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სეიმის საგარეო საქმეთა კომისიაში წარმოთქვა სიტყვა პოლონეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ. მინისტრმა აღნიშნა, რომ ხმები პოლონეთის აგრესიულობის შესახებ საბჭოთა რუსეთის და პირველ ყოვლისა საბჭოთა უკრაინის მიმართ ვრცელდება მტრულად განწყობილი ელემენტების მიერ. მინისტრის სიტყვების მიხედვით, პოლონეთი თავის მეზობლების მიმართ იჩენს მშვიდობიანობის მოყვარეობას.

დანციგში პოლონეთს სურს თავის უფლებების აღდგენა, ხოლო ის არ ფიქრობს წაართვა დანციგს თავისუფალი ქალაქის ხასიათი. სარეპარაციო საკითხი უნდა გადაიჭრეს ხელსაყრელ პირობებში საფრანგეთისა და ბელგიისათვის.

პოლონეთ-რუმინეთის კავშირი ემსახურება საყოველთაო მშვიდობიანობის იდეიას.

პოლონეთ-ოსმალეთის მოლაპარაკებას უნდა მოჰყვეს სასურველი შედეგები.

ბულგარეთის ამბების მიმართ პოლონეთი იცავს სრულ ნეიტრალობას.

ივლისში პოლონეთი მონაწილეობას მიიღებს ბალტიის კონფერენციაზე რიგაში. პოლონეთი ხელს არ აიღებს თავის ინტერესების დაცვაზე შემელის საკითხში, რომელიც შეადგენს ბალტიის საკითხის ნაწილს.

სეიმის წრეებში აღნიშნავენ, რომ თავის სიტყვაში მინისტრი ცდილობდა მიეჩქმალა პოლონეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკაში არსებული მტკივნეული ადგილები.

გალაშკრება შავი ბირეის წინააღმდეგ.

ვარშავა. 22 ივნისი. პოლონეთის მთავრობამ დაიწყო გალაშქრება შავი ბირეის წინააღმდეგ. მოხდა მასიური დაპატიმრებანი, უცხოეთის ვალიუტის კონფისკაციით. პოლონეთის გაზეთები აკრძალული აქვთ ცნობების გამოქვეყნება შავი ბირეის კერსის შესახებ.

ფინანსთა მინისტრის არაოფიციალური განკარგულებით ბანკებში და წესებულია იძულებითი კურსი-დაახლოვებით 110,000 მარკა დოლარზე. საფინანსო კომისიაში გრაბსკიმ განაცხადა, რომ გადაჭრილმა ზომებმა შავი ბირეს წინააღმდეგ მოიტანა დადებითი შედეგები.

პოლონეთის მრეწველობა.

ვარშავა. 22 ივნისი. „ნაშაურიერ“-ი სწერს, რომ პოლონეთის მრეწველობის მთელი ისტორია ამტკიცებს, რომ პოლონეთს ესაჭიროება აღმოსავლეთის ბაზრები. გაზეთი მოითხოვს დაჩქარებული იქნეს მოლაპარაკება რუსეთთან, რათა გადალახული იქნეს კედელი, რომელიც ყოფს პოლონეთს აღმოსავლეთის ბაზრებისაგან, რომლის გარეშე შეუძლებელია პოლონეთის ეკონომიური მდგომარეობის გაუჯობესება.

პოლონეთის მაკის კურსის დაცემა.

ვარშავა. 20 ივნისი. პოლონეთის მარკის კურსის დაცემა გრძელდება. მთავრობის განკარგულებით ყველა საფინდო ბირეები დაიხურა. ბანკების აეკრძალათ გარიგებათა დადება უცხოეთის ვალიუტით, რომელიც უნდა ჩაბარონ პოლონეთის საკრედიტო კასებში.

სიძვირის ზრდის გამო სამრეწველო რაიონებში მოელიან გაფიცვას. ლონდონში მდგომარეობა გართულებულია. ოპოზიციამ, ისარგებლა რა მთავრობის გართულებულ მდგომარეობით, გაიღაშქრა კაბინეტის წინააღმდეგ. ბრალს სდებს რა მას ფინანსიურ კატასტროფაში.

ბრძოლა ეროვნულ უმცირესობასთან.

ვარშავა. 22 ივნისი. ეროვნულ უმცირესობათა სეიმის წრეებში შეტყვეს, რომ პოლონეთის მთავრობას განზრახული აქვს გააბათილოს ეროვნულ უმცირესობათა ყველა მანდატები, სადაც კი დეპუტატები გასულან არა პოლონელები, მაგ. ვოლინსა და სხვა ადგილებში.

რუსეთი და იაპონია

კონფერენციისათვის.

მოსკოვი. 23 ივნისი. განზრახულ რუსეთ იაპონიის მე-3 კონფერენციაზე რუსეთის მრივ ოფიციალურ წარმომადგენელად იქნება ამბ. იოფეი. იაპონიის წარმომადგენლად იქნება კავაკამი, რომელსაც კ ოგათ იცნობენ რუსეთის დიპლომატიურ წრეებში. პოლონეთში ელჩით ყოფნის დროს კავაკამას ხშირად ქონია მეგობრული ბაასი პოლონეთში მაშინ რუსეთის წარმომადგენელად მყოფ კარახანთან. იაპონიაში დაბრუნების დროს, კავაკამამ გაიარა რუსეთში და ინახულა ამბ. კარახანი იაპონიაში ჩასვლისას, კავაკამამ გულწრფელ და მეგობრულ გრძნობებით აღსავსე წიგნი გამოსცა საბჭოთა რუსეთის შესახებ. კავაკამას პრესაში ხშირად გამოუთქამს აზრები იაპონიის საბჭოთა რუსეთთან დაახლოვების შესახებ.

შვეიცია და რუსეთი

რუსეთის ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშების დელეგატები შვეიცარიაში.

რიგა. 23 ივნისი. რუსეთის ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშების დელეგატებს კ ბანოვს და ისაკოვს დიდის ზეიმით შეხვდნ შვეიცარიის ხე-ტყის სახერხი ქარხნების მუშების კონფერენციაზე, მათ სიტყვებს ხმა ეძლ ოფიციები ხედებოდნენ, ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობამ კაყაფილება გამოსთქვა რუსეთის დელეგატების მოწვევის გამო და დადგინა გაგზავნოს დელეგატები რუსეთის ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა წარმომადგენლების ყრილობაზე მოსკოვში. ყრილობამ გამოსთქვა სურვილი, რუსი ამხანაგები მიღებული იქნენ საერთაშორისო კავშირში.

რუსეთი და პოლონეთი

პოლონეთი და რუსეთი

ვარშავა. 22 ივნისი რუსეთ—ინგლისის კონფლიქტის მშვიდობიანად დამთავრებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოლონეთის პოლიტიკურ წრეებზე, რომლებიც ფიქრობენ, რომ ეს გარემოება განამტკიცებს რუსეთს. მთავრობის წრეებში მოუთმენლად მოელიან იმას, თუ საბჭოთა მთავრობა როგორ შეხვდება პოლონეთის მთავრობის სურვილს ეკონომიური ურთიერთობის დაჭერისათვის

ამ უკანასკნელ დროს ლონდონის გაზეთები მოითხოვენ გადამწყვეტ ნაბიჯებს რუსეთის ბაზრებთან დაახლოვების საკითხში. გაზეთები ფიქრობენ, რომ პოლონეთის მთავრობამ უნდა მოსპოს ყოველგვარი დაბრკოლებები ამისათვის.

სხვადასხვა ამბები

საფრანგეთი

ბარტის საკონფერენციო განიფესტაცია.

პარიზი. 20 ივნისი. პარიზის მუნიციპალიტეტში, **პარიზის განაპირა უბნების მუნიციპალიტეტების ხაზეიმო მიღების დროს, შინაგან საქმეთა მინისტრის თანდასწრებით ქალაქის ხმოსნებმა-კომუნისტებმა** [illegible]

ტის საპატივსაცემოდ მანიფესტაცია გამართეს; მანიფესტანტები შეიარაღებულ ძალით იქნენ გამოყვანილი დარბაზიდან. გამოსვლის დროს ისინი ინტერნაციონალს მღეროდენ.

იტალია.

ფელვარება რკინის-გზელთა შორის.

რომი. 20 ივნისი. იტალიის რკინის-გზელთა შორის დაიწყო მელვარება. რომში დაითხოვეს ხამხურიდან 2 500 რკინის-გზელი.

ბალკანეთი.

ხაბერძნეთი არ მოახდენს ჯარების დემობილიზაციას.

ვენა. 20 ივნისი. ბალკანეთზე გამოფრქვეული მდგომარეობის გამო, საბერძნეთის მთავრობამ დაადგინა არ მოახდინოს ჯარების დემობილიზაცია საბერძნეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგაც კი.

ლტოლვა საბჭოთა რუსეთისაკენ.

ვენა 21 ივნისი. მცირე ანტანტის მიერ საბოლოო ჟარის განჯიდების გამო დიპლომატიური ჩარევის შესახებ ბულგარეთის საქმეებში და იმ განკარგულებულ მდგომარეობის გამო, რომელშიაც მოექცა სამხრეთ სლავეთი ამ საკითხში, იქ უფრო და უფრო გრძნობენ საბჭოთა რუსეთთან შეთანხმების აუცილებლობას. დემოკრატების ლიდერმა პრიბიჩევიჩმა სკუპჩინაში მოითხოვა მთავრობისაგან განმარტება იმის შესახებ, რატომ არ არის აქამდი განახლებული დამოკიდებულება საბჭოთა მთავრობასთან.

ამერიკა.

ამნისტია პოლიტიკურ დამნაშავეთ.

ნიუ-იორკი. 23 ივნისი. ალიასკაში გამგზავრების წინ გარდინგმა ამნისტია გამოაცხადა 72 დამნაშავისა, მათ შორის 8 პოლიტიკური დამნაშავეთა უმეტესობა მუშათა კავშირის წევრია. ამ კავშირის უფრო რევოლიუციონურ 20 წევრს ამნისტია არ შეეხო, რადგანაც იუსტიციის დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ზემოხსენებული პირნი ხელს უწყობდნენ საკუთარების დანგრევას და მხურვალე აგიტაციას იწიოდნენ, რათა არავის შეესრულებინა მთავრობის განკარგულებანი და ხელი შეეშალათ ომის წარმოებისათვის.

ამერიკა.

ამერიკელ ფინანსისტის განცხადება.

ნიუ-იორკი. 23 ივნისი. ამერიკელმა ფინანსისტმა ბერნერდ ბორუხმა, რომელიც ვილსონის პრეზიდენტობის დროს სამხედრო მრეწველობის ბიუროს სათავეში იდგა, განაცხადა, რომ რუსეთის მალე დაუბრუნდება დიდძალი ზეამეტი ხორბალი და მეტოქეობას გაუწევს ამერიკის სასოფლო-მეურნეობასაო.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

მუშების გამარჯვება.

ბერლინი. 19 ივნისი. პროფკავშირების მოლაპარაკება ფინანსთა სამინისტროსთან სახელმწიფო წარმოებების მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შრომის ხელფასის გადიდების შესაებ შეთანხმებით გათავდა; შეთანხმების ძალით, შრომის ხელფასი გადიდებული იქნება 100 პროცენტით. მტკიცე ტარიფების შესახებ შეთანხმება ჯერ არ მოხდარა.

გაფიცვები ბრანდენბურგში.

ბერლინი. 19 ივნისი. ბრანდენბურგში გაფიცვების ტალღა კვლავ გაძლიერდა. მთელ რიგ წარმოებებმა შესწყვიტეს მუშაობა. გაფიცვების მოსწყობი კომიტეტი მოითხოვს საკონტროლო კომისიის დანიშვნას პროდუქტებზე ფასების მოსაწესრიგებლად და თავდაცვის პროლეტარულ ჯგუფების ცნობას.

დატუხალებანი ამერიკაში.

ნიუ ორკი. 19 ივნისი. პატუხურგში დაატუსაღეს სამთო—მადნო მრეწველობის გაერთიანებულ მუშების საერთაშორისო კომიტეტის მდივანი ტომას მეიერსკოუ; **მას აკუანყების მოწყობას აბრალებენ.**

ეროვნული ბანკი

საქართველო

სატყეო მრეწველობა აჭარისტანში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

აჭარისტანის ტყეები ამ ჟამად სავსებით, შესწავლილ-აღრიცხულია და ამ ახლო მომავალში დაიწყება მათი ფართე ექსპლოატაცია.

ბათომის ქალაქის კომუნალური მეურნეობის სატყეო განყოფილება მოლაპარაკებას აწარმოებს მიწად-მოქმედების კომისარიატთან აჭარისტანის ტყეების განსაზღვრული რაიონების ექსპლოატაციისათვის.

უმთავრესად დამუშავებული იქნება ნაძვის ხე და „რეზინატის“ ძვირფასი მცენარე. ისარგებლა რა მოსკალური ინსტრუმენტები კეთდება.

სატყეო განყოფილებას ცნობები აქვს, რომ რ. ს. ფ. ს. რ. მრავალ ადგილებიდან მას დიდძალ სატყეო მასალებს დაუკვეთენ. ამ ჟამად მოლაპარაკება სწარმოებს ბაქოს ნავთის სამრეწველო დაწესებულებებთან ხე-ტყის დასამზადებლად.

დამზადებული ხე-ტყის დიდძალი რაოდენობა გაეტანება ოსმალეთში; ამის შესახებ მოლაპარაკება უკვე სწარმოებს.

ხე-ტყის ქარხანა გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს. ქარხანაში მუშაობს 140-მდე მუშა-მოსამახურე.

მიმდინარე წლის იანვრიდან დამოკიდებული, სატყეო განყოფილების წმ. ნდა მოგება უდრის—483 მ. 64 კ. ოქროთი.

დღემდე სხვა და სხვა რაიონებში დამუშავებულია 11 747,75 კვ. ვერ. მასალა, 8 ვაგონი ბიტონი, საწვავი შეში—43 კუბ. საჟენი.

ხე-ტყის ქარხანაში დახერხილია—4.180 კვ. ვერშოკი. გაყოფილ იქმნა—4.180 კვ. ვერ. დამზადებული მასალა და 153 კუბ. საჟ. შეში.

ამ ჟამად სხვა და სხვა რაიონებში სწარმოებს მუშაობა სატყეო მასალების დასამუშავებლად შავი ზღვის ტრანსპორტის რემონტისათვის. ნაწილი მასალებისა უკვე დამზადებულია.

სწარმოებს რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო უწყებათა დანაკვეთების დამზადება ლენინოზის მასალაზე, იარაღისათვის და ჰაეროპლანების ნაწილებისათვის. მასალის ნაწილი მზადდება საქართველოს სხვა და სხვა რაიონებში, ხოლო მისი დახერხვა დამუშავება ხდება საპილაოს, ხონის, საქეგაოხის და ბათომის ხე-ტყის ქარხნებში.

ბათომის ქარხანაში აკეთებენ ახალ დაზგებს ხერხებისათვის და სწარმოებს ნავთის მამოძრავებელის შეკეთება, რომელიც ელექტროული ენერგიის დიდ ეკონომიას გამოიწვევს.

ქარხნის მუშათა მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მიწად-მოქმედების კომისარიატი ქალაქის კომუნალური მეურნეობის სატყეო განყოფილებასთან ერთად აწარმოებს ენერგიულ მუშაობას ტყეების რაციონალური ექსპლოატაციისათვის, საეკსპორტოთ.

ეს მუშაობა მოშავალში გაფართოვდება, რაც დიდ შემოსავალს მისცემს აჭარისტანის მიწად-მოქმედების უწყებას.

აჭარა.

ბათომი.

ბათომი. 23 ივნისი. აჭარის საბალხო კომისართა საბჭომ გაათანასწორა საფუთო გადასახადი ზღვით და რკინის-გზებით შემოტანილ საქონელზე.

მანდარინი.

